



6291-01-01-10-2-201912201212



N 01-01-10/6291

20/12/2019

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

(ბათუმი, წერეთლის ქ. N6, ბ. N43

ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com ; მობ: 557 20 00 01)

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2019 წლის 06 დეკემბრის განცხადების (რეგ. N01-01-09/9551) პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების ურბანული განვითარება 2019 წლის სამი კვარტლის გეგმა შეადგენს 358,2 ათას ლარს, საკასო შესრულება 92,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სარფის საკურორტო ადგილის მთიანი ზონის დაგეგმარებისათვის წინამოსამზადებელი სამუშაო, რომლის ფარგლებში მოძიებულ იქნა არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემები. დამუშავებულია დაგეგმარების ძირითადი სქემა და დაზუსტდა საპროექტო არეალი. მიმდინარეობს საპროექტო არეალისა და მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმის შესყიდვის პროცედურები. დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობს სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი.

საანგარიშგებო პერიოდში ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თანხა გათვალისწინებული იყო გონიოს საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლის ნაწილის ქალაქმშენებლობითი და დეტალური დაგეგმარების შემუშავების პროექტის შესყიდვისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები აზიის განვითარების ბანკთან და შესაძლებელია გონიოს მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარება განხორციელდეს მდინარე ჭოროხზე ახალი ხიდის დაპროექტებისთვის საჭირო წანასწარ კვლევებთან ერთად, რომელსაც განხორციელებს აზიის განვითარების ბანკის მიერ შერჩეული საკონსულტაციო კომპანია. საკონსულტაციო კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადებების ასახვა გონის სანაპირო ზოლის დაგეგმარებაში გაზრდის საკითხის კომპლექსურ გადაწყვეტას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 25,7 %.

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება 2019 წლის სამი კვარტლის გეგმა შეადგენს 57,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 42,5 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტში კურორტ „ბეშუმში“-სა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავებისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა შპს „არტსტუდიო-პროექტ“-თან. შემსრულებელ კომპანიას ავანსის სახით

ხელშეკრულების საფუძველზე ჩაერიცხა 42,5 ათასი ლარი. შემსრულებელმა კომპანიამ უცხოელ პარტნიორთან ერთად სამინისტროში მოაწყო პრეზენტაცია, რომლითაც წარმოადგინა კურორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ხედვები.

საანგარიშგებო პერიოდში ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მესამე კვარტალში გათვალისწინებული იყო კომპანიისთვის გასაცემი ავანსის თანხა 20 %-ის ოდენობით, მაგრამ ავანსის მისაღებად კომპანიამ წარმოადგინა 15% -იანი საბანკო გარანტია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 74,6 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2019 წლის სამი კვარტლის გეგმა შეადგენს 1 573,1 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 333,6 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორცილდა შემდეგი საქმიანობა:

დასრულდა ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში (დანდალოს ხიდის მიმდებარედ) და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზამლეთში (ნენიის ხიდის მიმდებარედ) დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილების მოსაწყობად, რაც დაფინანსდა 172,1 ათასი ლარით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოში საპიკნიკე ადგილისა და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის მშენებლობაზე დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, რაც დაფინანსდა 151,7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია ზემოაღნიშნულ ობიექტებზე ელექტრომომარაგების ქსელზე ახალი აბონენტის დაერთების საფასური - 5,5 ათასი ლარი. აღნიშნულ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობები სრულად არ იქნა ათვისებული, საჭიროებიდან გამომდინარე, რაც დადასტურებულია საექსპერტო შეფასებით. ათვისებული მოცულობების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების შეუსრულებლობა ობიექტების გამართულ ფუნქციონირებაზე უარყოფითად არ აისახება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაწყებულ იქნა ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობის სამუშაოები, შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი. შესრულებული სამუშაოები დაფინანსდა 568,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია ზემოაღნიშნულ ობიექტზე ელექტრომომარაგების ქსელზე ახალი აბონენტის დაერთების საფასური - 5,2 ათასი ლარი.

„ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების მიზნით კვლევების განხორციელება, ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების ფარგლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტული ტურიზმის განვითარების პოტენციალის კვლევისა და გომარდულში (შუახევის მუნიციპალიტეტი) სპორტული ტურიზმის განვითარების კომპლექსური სამოქმედო გეგმის შემუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა კომპანიასთან „PROPROJEKT Planungsmanagement & Projektberatung GmbH“. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ წარმოადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, საკასო ხარჯმა შეადგინა 385,9 ათასი ლარი. ღონისძიების ფარგლებში ასევე 44,4 ათასი ლარით დაფინანსდა შპს „ტუსკი გეოლოგუ გროუპ“, რომელმაც შეადგინა შუახევის მუნიციპალიტეტში, გომარდულის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუქა და განახორციელა მოედნური

გეოლოგიური კვლევა.

საანგარიშგებო პერიოდში ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შედეგად წარმოიქმნა ეკონომია და „PROPROJEKT Planungsmanagement & Projektberatung GmbH“ კომპანიამ არ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის თანხა, რომელიც გათვალისწინებული იყო მესამე კვარტლის გეგმაში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,8 %.

პატივისცემით,

თინათინ ზოიძე

მინისტრის მოადგილე

